გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებნი უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს,

ბენეფისი

ს. პ. სვიმონიძისა

პ. ქ. საფაროვი აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ალ.-მესხიევის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ

წარმოდგენილი იქნება:

**ორი ობოლი**

დრ. 5 მოქ. და 7 სურ. თარ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 7½ საათზედ

Энциклопедическій Словрь

См. 4-ую стр.

ვკისრულობ

ყოველ გვარ **სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს** სახელმწიფო დაწესებულებაში საწარმოებლად, ვწერ ყოველ-გვარ **არზებს**, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების** ბანკებში **დაგირავებას** და სხ.

მსურველთ მოვემართონ დილის 8 — 10 საათამდე და საღამოს 6 — 8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—2)

### ტფილისი, 23 ნოემბერს

—

თითქმის ერთსა და იმავე დღეს ჩვენ მოგვივიდა ორი წიგნი: ერთი დაბეჭდილია სამეურნეო და სასოფლო მრეწველობის სასტატისტიკო განყოფილების მიერ და შეეხება იმას, თუ რა მოსავალი მოსულა რუსეთში; მეორე დაბეჭდილია სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის (კავკასიაში) განკარგულებით ტფილისში და შეეხება იმას, თუ რა მოსავალი მოსულა 1892 წელს და რა პირი ჰქონია 1893 წლის მოსავალს ქუთაისის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და მთელს შორაპნის მაზრაში, ესე იგი ზემო იმერეთში *).

ორივე წიგნი ოფიციალურის ხასიათისაა და შეეხება მოსავლის რაოდენობას, იმ ფრიად საინტერესო საგანს, რომელზედაც ჩვენ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ამ რამდენისამე დღის წინად. მაშინ ჩვენ ვლაპარაკობდით წარსულის მოსავლის რაოდენობის შესახებ გაზეთებში დაბეჭდილ და კერძოდ მოპოვებულ ცნობათა მიხედვით; ახლა-კი ამავე საგანს შევიძლიან შევეხოთ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობათა მიხედვით. ეს ცნობანი შემკულია დიდად საინტერესო ციფირებით და დამტკიცებული სასტატისტიკო მასალით. მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროდ, ეს-კი უნდა გავიმეოროთ ხელმეორედ, რომ მაინც კიდევ ეს სასტატისტიკო მასალა საკმაო არ არის; ეს მასალა ისეთი არ არის, რომ მის შემწეობით შეიძლებოდეს გათვალისწინება და აღრიცხვა ხალხის გაჭირების სიღრმე-სიგანისა და რაოდენობისა; რომ მის შემწეობით გავიგოთ დაბეჯითებით, სად, რა სოფელსა და რომელს მხარეში უფრო მოუსავლობა და გაჭირება. რამდენია ამისთანა სოფელი და ასე გაჭირვებული ოჯახი, რაოდენი სარჩო დასჭირდება მოუსავლობით დაზარალებულ სოფელს შიმშილის ასაცილებლად და სხვანი და სხვანი.

დიაღ, ეს მასალა ასეთი არ არის, მაგრამ მაინც ამ წიგნებში ბევრი რამ საგულისხმო მოიპოვება; ამ წიგნებში მოთხრობილია ბევრი მწარე და დიდად ჩამაფიქრებელი ფაქტები... 1892 წლის შემოდგომაზედაო, — ამბობს ბ-ნი მორევი (ტფილისში დაბეჭდილ წიგნის ავტორი), ზემო იმერეთში სარჩოს რაოდენობა ძლიერ მცირე იყო; მცირე იყო საქონლის საკვებიცა. ხანგრძლივის ზამთრის გამო საქონელი შიმშილით იხოცებოდა და 1893 წლის გაზაფხულზე მუშა საქონელი იმდენად იყო მისუსტებული, რომ თითქმის უღელში არ შეიბმოდა. ხარაგაულისა და სხვა ქართლის ახლო მდებარე საზოგადოებათაგან საქონელს ქართლში ჰგზავნიდნენ გამოსაკვებად; დანარჩენს საქონელს, რომ შიმშილით არ დახოცილიყო, ჩალასა ჰხდიდნენ ბანებს და იმით უბრუნებდნენ სულს.

ხანგრძლივსა და თოვლ-მრავალს ზამთარს მოჰყვა მეტად გვალვიანი გაზაფხული, ასე რომ ხვნა-თესვამ $1—1^1/_2$ თთვით შეიგვიანა. გვიან დათესის გამო მეტად დაგვალული ჯეჯილები ამოვიდა. ხალხი ძლიერ შეშინდა ამ გარემოების გამო და გაზაფხულზედვე გაძვირდა ყოველივე მიწის მოსავალი. ბევრგან ფუთი სიმინდი თვრამეტ შაურამდე ავიდა, პური — რვა აბაზამდე, ლობიო — 3 მანეთამდე!..

სამეურნეო დეპარტამენტის მიერ გამოცემულ წიგნში ნათქვამია, რომ თითქმის მთელ ქუთაისის გუბერნიაში დიდის გვალვების გამო მოსავალი სულ მთლად წახდაო. რადგანაც უმთავრესი საკვები მთელის გუბერნიისა სიმინდია, ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს მარტო სიმინდის შესახებ. ყველაზე ნაკლები მოსავალი ყოფილა შორაპნის მაზრაში — ერთს დესეტინაზე 25 ფუთი (ესე იგი ქცევაზე 10 ფუთზე ნაკლები) და რაჭაში — 20 — 38 ფუთამდე. სხვა ადგილებში აი რა მოსავალი ყოფილა:

| | | | |
|---|---|---|---|
| სენაკის მაზ. | 1 დესეტ. | აუღიათ | 10 ფუთ. 250. |
| ქუთაისის მაზ. | „ | „ | 10—160. |
| ბათუმ. ოლქში | „ | „ | 20—200. |
| ლეჩხუმის მაზ. | „ | „ | 48—800. |
| ოზურგეთის მაზ. | „ | „ | —80 ფუთი. |
| ზუგდიდის მაზ. | „ | „ | 135—150. |
| სუხუმის ოლქში | „ | „ | 150—200. |

ზემოხსენებულიდგანა სჩანს, რომ ყველაზე დიდი მოუსავლიანობა ჩამოვარდნილა მთელ შორაპნისა და რაჭის მაზრებში; გარდა ამისა დიდს ნაკლებულებას გამოივლის მკვიდრი სენაკის და ქუთაისის მაზრებში, ლეჩხუმში, ბათუმის ოლქში და ცოტად გურიაშიაც. კარგი და უხვი მოსავალი ყოფილა მარტო ზუგდიდის მაზრაში და სუხუმის ოლქში.

ტფილისის გუბერნიის მაზრათა შორის, როგორცა სჩანს, ძრიელ ნაკლები მოსავალი ყოფილა დუშეთის მაზრაში, სადაც დღიურს გამოსულა 5 ფუთიდგან 15-მდე პურს და 12 — 28 ფუთ. ქერს. თითქმის ასეთივე მოსავალი ყოფილა სიღნაღისა, თელავისა და ბორჩალოს მაზრებში. ამ გვარად, ოფიციალურად მტკიცდება მოუსავლიანობა საქართველოს ბევრს ადგილებში. როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, რასაკვირველია, ეს მასალა საკმაო არ არის, რომ დაბეჯითებით ვსთქვათ, აი აქ ასეთი გაჭირება ადგია ხალხს და იქ ასეთიო. სწორედ ამიტომ, როგორც მთავრობას, აგრეთვე ჩვენს საზოგადოებას და საზოგადო დაწესებულებათ ჰმართებთ დაუყოვნებლივ გამოირკვიონ რაოდენობა გაჭირებისა ჩვენს ქვეყანაში და ასე თუ ისე შესაფერი წამალი მოჰნახონ.

ნიკ. კავკასიძე

*) აი ეს ორი წიგნი: 1) „1893 годъ въ сельско-хозяйственномъ отношеніи“, изд. Депар. Землед. и Сел. Пр., СПБ. 1893 г. და 2) „Конецъ 1892 г. и первая половина 1893 г. въ сельско-хозяйственномъ отношеніи въ юго-вост. части Кутаискаго у. и Шоропанскомъ у. Кутаис. Губ. составилъ Н. Моревъ, Тифлисъ, 1893 г.

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 21 ნოემბერს, ტფილისის საბჭომ აირჩია ქალაქის გამგეობის წევრებად: ე. ე. ხოსროევი (54 თეთრი და 17 შავი კენჭი) და ა. ა. ივანენკო (51 თეთ. და 19 შავი). კენჭი უყარეს აგრეთვე: თავ. პ. მ. არღუთაშვილ-მხარგრძელსა (44 თეთ. და 27 შავი) და ხ. ა. ვერმი-

## ფელეტონი

—

### არა-მკითხე რევიზორის შენიშვნები.

(დასასრული *)

დიდხანს ისაუბრეს სოფლელებმა, ბევრი ისეთი ჭკვიანური სთქვეს, რომლის მსგავსი, მე რომ ზოგი ინტელიგენტი ვიცი, იმასაც-კი სიზმრად არ მოსჩვენებია. ღამის ათ საათზე თავიანთ სახლისკენ წავიდნენ. მასწავლებელმა თავის ღარიბად მორთულს ოთახში მიმიწვია ვახშმად; ხმელი ყველი და მჭადი იყო ჩვენი ვახშამი იმ ღამეს.

— ხშირად მოდიან ეს გლეხნი თქვენთან? დავეკითხე მასწავლებელს.

— კვირაში სამხელ მაინც. მე მათ წერა-კითხვასაც ვასწავლი და, უნდა გითხრა, ეს ძლიერ კარგი საშვალებაც არის მათთან დასაახლოვებლად. ესენი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან და, რაიმე სასიკეთო აზრის განხორციელება რომ მოვისურვო, უეჭველად ყველა მხარს მომცემს. სკოლის საქმეშიაც დიდად მიწყობენ ხელს. ძლიერ მიყვარს სოფლელები. თუმცა ბევრი ნაკლულევანება აქვთ, მაგრამ მათი დაუსრულებელი შრომა, ასეთის მძიმე უღლის წევა და მედგარი ბრძოლა ათას გაჭირვებასთან ყველა მათს ნაკლს ჰფარავს. ამ ვითარებაში რომ ვამყოფოთ, ზოგი ჩვენი ინტელიგენტი კბილით დაგვქამდა. ყოველ შემთხვევაში თუ რისამე გაკეთება გინდა სოფლად, ხალხს უნდა დაუახლოვდე, ხალხის სულისა და გულის მოძრაობა უნდა იცოდე, ხოლო ერი მაშინ ჩაგახედებს თავის გულში, როცა თავის ჭირისა და ლხინის მოზიარედ მიაჩნიხარ. ხალხის გაცნობა მასწავლებელსაც აამაღლებს გონებით, მის სოფლად ცხოვრებას მეტს შინაარსს მისცემს და შრომას უფრო გაანაყოფიერებს, თორემ მე რომ ზოგი აფიცერი-მასწავლებელი ვიცი, იმისთვის სოფელი ნამდვილი ჯოჯოხეთია. გლეხთან დაახლოვებას ეს დალოცვილი არ კადრულობს, ჟურნალ-გაზეთები და წიგნები სანთლით აქვს საძებარი. უსაქმო ადამიანი სოფლად იშვიათია, რომ მასთან ლაყბობით დრო შეამოკლოს, ზის თავის ოთახში და ებრძვის სულისა და გულის გამაფუტურებელს „სკუჩნაობას.“ სასაცილოა, ღმერთმანი: წურბელა ჩარჩთან მეგობრობას არ თაკილობს ასეთი ადამიანი, რომელისამე მაზრის მოხელის ხელის ჩამორთმევა ძვირად უღირს, რაო, და აქ ხალხის თვალში პატივი მომეცემაო, დაახლოვებით იცნობს სოფლის ბობოლას, ამ უკანასკნელის მეძებრის კუდსაც-კი დაწვრილებით აგიწერს და ამავე დროს მშრომელ უმრავლესობის შესახებ ერთ საბუთიან აზრს ვერ წარმოსთქვამს; სოფლის ამაგით იბრუნებს სულს და სოფლისა კი არა გაეგება-რა, მაგრამ...

— უკაცრავად, სიტყვა გაგაწყვეტინე, მაგრამ ძლიერ მინდა ვიცოდე, რა აზრისა ხართ თქვენ დღევანდელს სკოლაზე, რამდენი მოსწავლე გყავთ და როგორ მიდის სწავლის საქმე? დავეკითხე მე მასწავლებელს.

— სკოლა ჩემი სიმპატია არის და ამიტომაც შეიძლება მის შესახებ მიუდგომელი აზრი ვერ წარმოვსთქვა. ბევრი გულ-გატეხილია სკოლაზე; მე-კი იმას ვფიქრობ, რომ დღევანდელს ვითარებაში უფრო სასარგებლო საქმეს ვერ მოსძებნის მარჯვე კაცი, რა თქმა უნდა, თუ გარემოებასთან ბრძოლის თავი აქვს და საღის ადამიანის აღზრდა შეუძლია. მე მაინც გადაწყვეტილი მაქვს ჩემი ძალ-ღონე სკოლას შევსწირო. სანამ შემეძლება, ვიშრომებ და, როცა ჯანიდგან დავიცლები, სიამოვნებით ჩავიჩოქებ ამ სახლის კედლებთან. მაგრამ, თუ უკუღმართების ცდამ გასჭრა და სკოლის შიდამო მოიშხამა, თუ ცოტა ოდნად საღის ადამიანის აღზრდა შეუძლებელი გახდა და პურის ნაცვლად ქვის ძლევა დამავალეს, მაშინ-კი აღარ ვიცი, როგორ მოვიქცევი და რას მოვიქმედებ.

მასწავლებელმა თავი ჩაჰკიდა და ერთს ადგილს დააშტერდა დაჟინებით. მისი სახე რაღაც მძიმე ნაღვლის გამომხატველ სარკედ გადაიქცა; მის ნაოჭად შეკრულს შუბლზე უნებურად ვკითხულობდი შემდეგს: რა გამოვიდა? მთელი ჩემი ახალგაზრდობა ამ მტვრიანს ფარღალალა სადგომში უნდა დავლიო, ათას გვარი გაჭირვება და შევიწროება უნდა ვითმინო; როცა დავუძლურდები და ესეც აღარ შემეძლება, მაშინ უკანა-

*) იხ. „ივერია“, № 251.

შევს (43 თეთ. და 27 შავი), ხოლო რომელი მათგანი უნდა ცნობილ იქმნას მესამე წევრად, საბჭომ ვერ გარდასწყვიტა, რადგანაც რამდენიმე ხმოსანი წავიდა კენჭის ყრის შემდეგ და კრებაზედ ხმოსანთა კანონიერი რიცხვი აღარ იყო.

*** 19 ნოემბერს საპატიმროდგან გაანთავისუფლეს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარედ ყოფილი თავადი ნ. ამატუნი და იმავე ბანკის დირექტორი ნ. გარსოევი. პირველმა 30,000 მანათის თავმდებობა წარადგინა და მეორემ 10,000 მანათისა. გუშინ უნდა გაენთავისუფლებინათ აგრეთვე ბუჰალტერი ამირალოვი, რომელსაც 4,000 თავდები მოსთხოვა გამომძიებელმა.

*** ამიერ-კავკასიაში 1894 წლიდგან ხარჯის ამკრებ ინსპექტორთა რიცხვს რამდენიმე კიდევ მოემატება. ამ ნოემბერშივე დაინიშნება თითო ინსპექტორი ტფილისისა, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში. ახალ წლიდგან-კი ერევნის გუბერნიას მიემატება კიდევ სამი და ქუთაისისას ერთი. სუხუმისა, ბათუმისა, ართვინისა და ზაქათალის ოლქებშიაც დაინიშნება თოთო ინსპექტორი; ყარსისაში ოთხი, დაღესტნისაში—2. სულ ამიერ-კავკასიაში 26 ახალი ინსპექტორი დაინიშნება.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული ენის მკლევარ, ბ-ნს მოსე ჯანაშვილს შეუდგენია შედარებითი ლექსიკონი ქართულის ენისა და მის კილოკავებისა.

*** **მარტვილი**: მარტვილისა და სხვა ახლო-მახლო სოფლებისათვის ფრიად სასიამოვნო ამბავი მოხდა ამ ნოემბერში: ს. სურმავამ გაჰმართა დილიჟანსი, რომლითაც დაჰყავს ხალხი აბაშასა და მარტვილს შორის დღეში ორჯელ. მარტვილიდამ დილით მოდის აბაშას, ხოლო აბაშიდამ მიდის ნაშუადღევის 2 საათზედ.

*** **ბარის ოსეთი** 1 ნოემბერს ბარის ოსეთში, კარგა ბლომად მოვიდა თოვლი და მოსაჭრელი სიმინდები ქვეშ დაიტანა. ხალხი ძრიელ შეფიქრიანდა, მაგრამ, სამი დღის შემდეგ კარგი დარები დაიჭირა, თოვლი სულ ერთიანად დადნა და ხალხიც სიმინდის ჭრას შეუდგა. ამ ჟამად აქ სიმინდი, ექვს შაურად ფასობს „მერკაა". ქერიც ექვსი შაურია. პური ოთხი აბაზი—ოთხ-უზალთუნია; ფეტვი მერკა შვიდი შაური, კარტოფილი მერკა ხუთიშაური—ექვსი შაური, კომბოსტო ასობით, თითო ასი ხუთი მანეთი და ურემი თივა მანეთ ნახევრიდან-ორ მანეთამდე. ჯარის კაცთა გაწვევა ამ თვის დამდეგს გათავდა ბარის ოსებში.

*** **სოფ. ზილგა** (კავკავის მაზრა) ამას წინად სოფ. ზილგამ ოთხ კაცს განაჩენი შეუდგინა და წარუდგინა მთავრობას. განაჩენში სოფლელნი სთხოვდნენ მთავრობას, ეს ოთხი კაცი მომაშორეთო, მაგათგან მოსვენება აღარა გვაქვსო. ოთხთავემ, გაიგეს თუარა, კარგად არ არის ჩვენი საქმეო დაჰკრეს ფეხი და გავარდნენ თულებათ. დღესაც არავინ იცის, სად იმალებიან და სად არა. ხან-და-ხან ღამე-კი დაეცემიან ხოლმე ხან ვისა ხან ვის და სძარცვავენ.

## დამაკვირდი

იჭვიანის კაცის სიყვარული უფრო სიმძულვილსა ჰგავს.

მოლიერი

**

მნელად საკმარისია ადამიანის სიცოცხლე კარგის წიგნის შესადგენად, ხოლო ნახევარი იმის შესასწორებლად.

ჟ. ჟ. რუსსო

**

უფრო იმას გამოუჩნდება ხოლმე ბევრი წამბაძველი, რის წაბაძვაც ყოვლად შეუძლებელია.

ენბერ-ეშენბახი

## წერილი რედაქციის მიმართ

30 ოქტომბერს ქუთაისში გამართული იქმნა ჩემდა სასარგებლოდ საღამო; შემოსულა—110 მ., დახარჯულა—49 მ. და დარჩენილა მაშასადამე წმინდა შემოსავალი—61 მ., რომელიც მე უკვე მივიღე.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო ჩემი უგულითადესი მადლობა, როგორც ამ საღამოს გამმართველს პ. ლალიაშვილის ასულს და დამსწრე საზოგადოებას, აგრეთვე იმათ, რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას და ასეთი თუ ისეთი დახმარება გაუწიეს: ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ-ნს ვას. ყიფიანს, რომელმაც დაგვითმო სკოლის დარბაზი, ბ-ნ ხოჯაევს და სხ. გარდა ამისა, დიდ მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმათ, რომელთაც გამოჰგზავნეს ფული ჩემდა სასარგებლოდ: თავ. თენგ. დადიშკელიანს (10 მ.,) თავ. თათარხან დადიშკელიანს, თავ. მ. დადიანს (6 მ.), ბ-ნ სამ. თოფურიას (5 მ.), ბ-ნ გურჩინს (5 მ.) და ბ-ნს ლუარსაბ ლოლუას (3 მ.).

სტუდ. ნოე გეგელაშვილი

ქ. მოსკოვი
1893 წ.
16 ნოემბერს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

Русскій Архивъ-ის ნოემბრის წიგნში დაბეჭდილია წერილები ნ. ნ. მურავიოვისა, რომელიც ერთს დროს კავკასიის მთავარ-მართებლად იყო და ორმოცდაათს წლებში ომის დროს ყარსი აიღო. აი, სხვათა შორის რა დაუწერია მურავიოვს:

ქართლი უგზავნის ტფილისს ფიჭვის მშვენიერ ხეებს შენობებისათვის. ეს ხეები ბორჯომის ტყეში იჭრება და მტკვრით იგზავნება ტფილისს. ტყის გაჭრა და გაგზავნის საშუალება ქვეყნის სიმდიდრეს უნდა შეადგენდეს, მაგრამ სწორედ ეს არის ქვეყნის დამღუპველი: საქართველოში ტყე არავის ეკუთვნის, ყველა სჩეხს, ვისაც დასჭირდება. ბორჯომის ხეობაში ყოველთვის და ყოველ პოლკის ჯარის კაცები იგზავნებიან ხეების მოსაჭრელად და მტკვრით ტფილისში ჩასატანად. იმის გარდა, რომ ჩქარი მდინარე მრავალს მათგანს ჰღუპავს ხოლმე, ამ საქმის კაცზე უბედური არავინ არის საქართველოში. თავის პოლკს დაშორებულნი, ეწევიან მძიმე ჯაფას, ძალიან მცირედ გასამრჯელოს იღებენ, ხშირად ავადა ჰხდებიან, ზნეობით ეცემიან და საზღვარს იქით გარბიან. აფიცერი-კი, ამ ჯარის კაცების უფროსი მდიდრდება და რამდენისამე წლის განმავლობაში დიდს შეძლებას იძენს, ჯარის კაცებისაგან-კი არა, მცხოვრებელთაგან: მთელს ქართლს ბეგარა აძევს და მოვალეა ჩაზიდოს ტყიდგან ხეები მტკვრის პირად და შეჰკრას ტივად. რადგანაც ეს შრომა—მთა-ღრეებზედ ტყის ხეების თრევა—ძნელია, მცხოვრებნი იმას არჩევენ, რომ ქრთამით დაიხსნან როგორმე თავი ამ ბეგრისაგან. ამ ბოროტ-მოქმედების მაგალითად საკმარისია ერთი ამბავი მოვიყვანო, რომელიც მთელმა ქართლმა იცის იმათ გარდა, ვინც ამ საქმეში ერია. მოსჭრეს ერთი უშველებელი ხე და გატანა-კი ვერას გზით ვერ მოახერხეს, თუმცა მრავალი გლეხი ეცადა; ბევრი კამბეჩი და ხარი შეუბეს, მაგრამ ადგილიდგან ვერ დასძრეს. ჯარის კაცის უფროსები ბეგრის ხალხს ამ ხეს მიუჩენდნენ ხოლმე, ან ეგ ხე გაიტანეთ ან არა და თუ სხვა ხეების ზიდვა გინდათ, ქრთამი მოგვეცითო. ეს ხე რამდენსამე წელიწადს ერთსა და იმავე ადგილს ეგდო და „ოქროს ხედ" იყო მონათლული. სწორედ ზედ გამოჭრილი სახელია.

**

პარიჟის ჟურნალ გაზეთები ძლიერ უკმაყოფილონი არიან გერმანიასა და ინგლისს შორის მომხდარ ხელშეკრულობის გამო შესახებ მდინარე ბენეს სათავესთან მდებარე ადგილების მფლობელობაზედ აფრიკაში. ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, საფრანგეთის მთავრობამ არა იცოდა-რა, რომ გერმანიასა და ინგლისს მოლაპარაკება ჰქონდა ამ ადგილებზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უეჭველად გაერეოდა ამ საქმეშიო. „Temps" სწერს:

ზემოხსენებულ ადგილის განაწილება ინგლისსა და გერმანიას შორის საფრანგეთსართმევს იმ უფლებას, რომელიც მან შეიძინა აფრიკაში გამოჩენილ მეცნიერთა მოგზაურობის წყალობით. რაც შეეხება Nordd. Allg. Zeit.-ის სიტყვებს, საფრანგეთს აფრიკის ამა და ამ ადგილებზე არავითარი უფლება არა აქვსო, ეს საქმე საეჭვოა და ამიტომ იქმნება მედიატორეთა სამართალს მივმართოთ.

ამ საქმეში ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ჩაერივნენ. Times-ი სწერს:

ჩვენ გერმანიასთან კავშირი არა გვაქვს რა. ფრანგები-კი ისე იქცევიან, რომ ლამის დაუკავშირდეთ გერმანელებს. მაინცა და მაინც ფრანგები ისე იქცევიან, რომ ჩვენთვის კარგი იქმნება ვისარგებლოთ სამთა კავშირით აზიისა და აფრიკის საქმეებში.

ბენუეს სათავესთან გერმანელთა დამკვიდრება ინგლისს ძვირად დაუჯდა და მაგირამი გასწირა, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ იაფად შევიძინეთ მეზობელ სახელმწიფოს მეგობრობაო.

## რუსეთი

საბეითალო კომიტეტთან პეტერბურგში დაარსებულია კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რა მიზეზის გამო გაძვირდა ხორცი პეტერბურგში და იღონოს რამე ამასთან სიძვირის ასაცდენად შემდეგში. კომისიის აზრით, ეხლანდელი სიძვირე იმის ბრალია, რომ ხორცით ვაჭრობის საქმე რიგიანად არ არის მოწყობილი. ამისათვის საჭიროდ უცვნიათ დააარსონ განსაკუთრებული ბიურო, რომელმაც შუამავლობა უნდა სწიოს საკლავ საქონლის პატრონთა და ვაჭართა შორის და თუ ამ რიგად ვერა გაკეთდა-რა, მაშინ საკუთარი დუქნებიც უნდა დააარსოს ხორცის გასასყიდად წვრილ-წვრილად.

სწორედ ამ ნაირადვე უნდა მოეწყოს ხორცის ვაჭრობის საქმე მოსკოვს, ვარშავასა და ოდესაში.

—

15 ნოემბერს, პეტერბურგის ერთ დუქანში წაიჩხუბნენ ივანე სერიაკოვი და ა. ანდრეევი. მოჩხუბარნი გარედ გამოაბრძანეს და ჩხუბი აქ ხელახლად გაიმართა. გაბრაზებულმა ანდრეევმა ივანე სერიაკოვს ცხვირი მთლად მოაკვნიტა. სერიაკოვმა ერთი-კი დაიღრიალა საზარლად და იქვე დაეცა. ბევრი ეძებეს სერიაკოვის ცხვირი, ანდრეევსაც დაუჩხრიკეს ჯიბეები, მაგრამ ვერსად იპოვეს. ჰფიქრობენ, ანდრეევმა უთუოდ გადაჰყლაპა ცხვირიო.

—

მთავრობას განუზრახავს შემოიღოს ასტრახანის გუბერნიაში სრულად სამოსამართლო რეფორმა, ესე იგი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. სწორედ დიდი სულგრძელობაა მთავრობის მხრივ, რომ ასეთის რეფორმების შემოღება უნდა იმ გუბერნიაში, საცა შარშან ხოლერობის დროს ისეთი საშინელი უწესოება მოახდინა ხალხმა, რომელიც ჰლეწავდა ფანჯრებს სამკურნალოში, შედიოდა აფთიაქებში და ამტვრევდა იქაურობას, სცემდა მკურნალთ და შეურაცხყოფდა სუფთად ჩაცმულთ ქუჩებში.

—

ამ დღეებში პეტერბურგს დაბრუნდა ინჟენერ-ტეხნოლოგი გულიშამბა-

---

სკნელი ცხოვრების სახსარიც მომესპობა. შიმშილით სიკვდილი-ღა დამრჩება ჯილდოდ. ყველა ამასთან თუ ჩემს თავ-განწირვასაც საიმისო სარგებლობა არ მოჰყვა, რას ეგვანება მაშინ ჩემი საქმე?

მე მინდოდა დაწყებული საუბარი განმეგრძო, მაგრამ მასწავლებლის დატანჯული სახე ისედაც ამჟღავნებდა, რომ რაღაც უიმედობის გესლი სწვეოდა და საშინლად ჰქენჯნიდა მისს სპეტაკს არსებას და, რომ ცეცხლზე ნავთი აღარ დამესხა, გაჩუმება ვარჩიე. მასწავლებელმა მძიმედ ამოიოხრა და შეგირდების რვეულებს დაუწყო სწორება, მე-კი ჩემი სარევიზო რვეული გადავშალე და შემდეგი შენიშვნა ვუძღვენი: ერთობ უკუღმართია ჩვენი ცხოვრება, მიტის მეტად ჭრელია. ყოვლისფრით სრულს ადამიანს გვერდში ამოუყენებს მეტის მეტად მახინჯს არსებას, უზენაესს სათნოებასთან ადგილს აძლევს უსაშინელესს ბიწიერებას, თითქოს სურს, რომ უფრო კარგად გაგაზომინოს ერთი მათგანი, უფრო გაგაოცოს. მადლიანიძე (ზევით დასახელებულ მასწავლებლის გვარია) ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ, როცა ხრიკაძეს დავუპირდა პირებ, ერთი ათად იზრდება ჩემს თვალში, ნამდვილ გმირად მეჩვენება და უზომო პატივისცემით მევსება მისდამი გული. მადლიანიძე და ხრიკაძე ჩვენის ცხოვრების ღვიძლიშვილებია, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რაში ჰგვანან ისინი ერთმანერთს. ერთს აღონებს მოძმის უნუგეშო მდგომარეობა და მეორე ხელს ითბობს სხვის გაჭირებაზე; ერთი იცრემლება ბეჩავის, გონება-დახშულს კაცის დანახვაზედ მეორე გულზე სკდება, რატომ ყველანი ბრმანი არ არიან, რომ ცხვირწინ წავგლიჯო ლუკმაო; ერთი ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რომ ცოტაოდენი შუქი შეიტანოს ამ უკუნეთში და მეორე კი ხელაღპყრობით სთხოვს ღმერთს, ეს გონებრივი სიბნელე არ გაიფანტოსო. ერთი სულ იმას იძახის, ყოველივე ჩვენი უბედურება უმეცრებისაგან წარმოსდგებაო, და მეორე-კი გაიძახის: სწავლა განათლებაა ყოველ უბედურების სათავეო; ერთი თავის ნაოფლარს სჩხრეკს, უნდა დარწმუნდეს, სამართლიანი ლუკმა არის თუ არაო და მეორეს-კი ძილი უტყდება, თუ იმის მეზობელს საკუთარი ნაოფლარი დარჩა და ემან წილი ვერ დაიდო სხვის ნაამაგევში. ეს განსხვავება მე კიდევ ისე არ მაღონებს, „ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმინდოს," უბედურება ის არის, რომ ხრიკაძე შეიკედლა ჩვენმა ცხოვრებამ და მადლიანიძე-კი არა, ერთს ნამდვილის დედობას უწევს ცხოვრება და მეორეს-კი უხეირო დედინაცვლობას. როცა პირველს გულში იკრავს ჩვენი საზოგადოება, როცა ხრიკაძე ათასობით სთვლის ცოდვილს დედამიწაზე მეგობრებს, იმ დროს მადლიანიძეს ოც-და-ათის მეტი მეგობარი არ გააჩნია და ისიც ღმერთა უწყის, სად გასწირევენ ესენი იმას; არა თუ შორებლები, ახლო ნათესავებიც-კი გაუორგულდნენ, თავისიანებიც-კი უარჰყოფენ ამ საცოდავს. „ის ჩემი შვილი-კი, არა, ეშმაკის შილია, ის კოტორი ისა!" გაიძახის თურმე მადლიანიძის მამა, როცა ჰხედავს, რომ შვილი ნივთიერად ბევრს ვეღარას შველის, „სრულიად უსწავლელებს კარგად მიჰყავთ თავისი საქმე და ის უბედური ნასწავლია, მაგრამ მაინც გროშად არ ღირს, სრულიად ვერაფერში ვერ გამოიყენა თავისი სწავლა; სახლში შესაშვები არ არის, სახლში, მე თუ მკითხავ", ამბობს მადლიანიძის შესახებ მეორე მისი ნათესავი. საკვირველი აქ რა არის! უმეცრება ყოველთვის ასეთის-თვისებისა ყოფილა, რომ ის მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევს. ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის მომაგონდება ის უგუნურთა-გროვა, რომელიც ათას უნამუსოს წინ მუხლს იყრის, ქვეყნის მხსნელის ჯილდოთ-კი ეკლის გვირგვინი დაუწნავს და ბრიყულად ღრიალებს «ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგეო»... „უფალო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რას იქმან", ისმის ჯვრიდგან სულგრძელ მოძღვრის სიტყვები. მაგრამ ეს სიტყვები ღმერთს ეკუთვნის და უბრალო სიკვდილის შვილს-კი შეუძლია გულ-გრილად უყუროს უმადურობას და გული არ გაიტეხოს. ჩვენდა სასიამოვნოდ, შესაძლებელი ყოფილა და, თუმცა იშვიათია, მაგრამ მაინც მოიპოვება ისეთი, რომელსაც სოფლად მუშაობა მოვალეობად მიაჩნია და მომზადებულიც არის ყოველგვარ უსიამოვნობის ასატანად. მადლიანიძისებური კაცებიც ცოტად [illegible] ბევრად ამ ჯგუფს ეკუთვნიან და ძლიერ კარგი ნიშანიც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ საზღვარ გარედ გაჰგზავნა, რათა იქ ადგილობრივ შეესწავლა რუსეთის ნავთის ვაჭრობის საქმე. ბ-ნი გულიშამბაროვი იყო ინგლისსა, ჰოლანდიასა, საფრანგეთსა და გერმანიაში და მისის აზრით ყველა ამ ქვეყნებში კარგი პირობებია რუსეთის ნავთის გასაყიდად. შემდეგ გულიშამბაროვი იყო ამერიკაში და ადგილობრივ შეისწავლა ნავთის ვაჭრობის საქმე. ბ-ნი გულიშამბაროვი ამბობს, რომ ამერიკის ნავთის ვაჭრობის საქმე იმიტომ მიდის ძლიერ კარგადა, რომ სავაჭრო საზოგადოებანი აქვთო. გულშამბაროვის მიერ შეკრებილი ცნობები ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** სამინისტროს კრიზისის გამო, ის გარემოება, რომელიც წინაუძღოდა ამ კაბინეტის სამსახურიდგან გამოსვლას, საყურადღებოა მხოლოდ იმდონად, რამდონადაც შესაძლოა გამოირკვეს მიზეზი დიუპუის სამინისტროს დაშლისა. 12 ნოემბრის კრება პარლამენტისა შესანიშნავია მხოლოდ ლოკრუას სიტყვით, რომლითაც ნათელი მოეფინა სამინისტროს დეკლარაციას. ლოკრუამ სთქვა, რომ სამინისტროს პროგრამმა უარ-ყოფაა რესპუბლიკის მოთხოვნილებათა საერთოდ, უარ-ყოფაა რეფორმებისა, რომლებისათვისაც დემოკრატია იბრძოდა ოცის წლის განმავლობაში. სწორედ რომ ითქვას, ეს რესპუბლიკელთა დასისმიერ უარ-ყოფაა თავის თავისა. გამბეტა მომხრე იყო სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევებისა, ეხლანდელი მთავრობა-კი დიუპუის პროგრამმას დასდგომია. რაც შეეხება დეკლარაციის იმ ნაწილს, სადაც სამინისტრო რისამე გაკეთებას გვპირდება, ეს ნაწილი ხროვაა ძველის აზრებისა და სურვილებისა, რომლებიც 15 წლის განმავლობაში პარლამენტიდგად სენატში გადადიოდა და სენატიდგან პარლამენტში. ლოკრუა ამტკიცებდა, რომ ეხლა უკუმსვლელობის პოლიტიკა, რომელსაც დიუპუის კაბინეტი დასდგომია, შეუძლებელი-ღაა; ამასთანავე არც სოციალისტების პოლიტიკაა მოსაწონიო. შემდეგ განმარტა რადიკალთა დასის მოძღვრება და სთქვა, რევოლიუციას რომ ძალა წავართვათ, აუცილებლად საჭიროა ეხლავე შემოვიღოთ რეფორმებიო. დიდი ეფექტი ჰქონდა ორატორის სიტყვას, პეიტრალისადმი მიმართულს: „მართებლობის წევრნი მოვალენი არიან არა თუ მხოლოდ ხელი მოაწერონ დეკლარაციას, არამედ თანხმანი იყვნენ ყველაფერში, რაც-კი კაბინეტის სახელით ითქმის“.

პეიტრალმა უპასუხა: შემოსავლის კვალობაზედ გარდასახადის შემოღების პროექტი მიტოვებული არ არის, თუმცა პროგრამაში არა სწერიაო.

— მე აღვნიშნავ იმ ფაქტს, — სთქვა ფაბერომ, — რომ სამინისტრო ამ პროექტის გამო ვერ შეთანხმებულაო.

პეიტრალი წინადაც შეკრთა უმწვერვალეს მემარცხენეთა დაცინვით და, ფაბერომაც რომ სიტყვა იმისკენ გადაჰკრა, ველარა მოახერხა-რა პასუხად იმის გარდა, რომ მე წინანდელი რწმენანი არ შემიცვლიაო.

—

**გერმანია.** რა თქმა უნდა, ძნელია სთქვას კაცმა, თუ ვინიცობაა ომი მოხდა, რომელი სახელმწიფო უფრო მეტს ჯარს გამოიყვანს ბრძოლის ველზედ, საფრანგეთი თუ გერმანია. ხოლო ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ გიუნოს კანონ-პროექტის წყალობით გერმანიას ეყოლება კარგად გაწვრთნილი ჯარი. ამასვე ამტკიცებს საფრანგეთის გაზეთი „Journal des Débats“.

1889 წლის კანონიო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, უსასტიკესი კანონია. ამ კანონით საფრანგეთში ვერც ერთი კაცი, ვისაც-კი იარაღის ხმარება შეუძლიან, ვერ გადურჩება სამხედრო ბეგარას. ზოგი სამის წლით მიჰყავთ ჯარში, ზოგი ორის წლითა და ზოგი ერთით. მაგრამ რამდენი ჯარი მოგვიმატა ამ კანონმაო, კითხულობს გაზეთი. 1890 წელს საფრანგეთის ჯარს მიემატა 193,473 კაცი, 1891 წელს —185,837 კაცი. 1892 წელს—177,142 კაცი. იმავე დროს გერმანიამ გამოიყვანა 1890 წელს—159,270 კაცი, 1891 წელს 182,836 კაცი და 1892 წელს —172,515 კაცი. ამ რიცხვებს უნდა მივუმატოთ კიდევ იმ ჯარის-კაცთა რიცხვი, რომელნიც სათადარიგო ჯარში არიან და რომელთა გამოყვანაც მუდამ შეუძლიან გერმანიის სამხედრო სამინისტროს. მაშინ აღმოჩნდება, რომ გერმანიას პირველ წელს ჰყოლია 261,283 კაცი, მეორე წელიწადს 268,219 და მესამე წელიწადს 269,936 კაცი, სულ 789,438 ე. ი. 230,986 კაცით მეტი, ვიდრე საფრანგეთს შეეძლო ჯარში გამოეყვანა. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ საფრანგეთში თანდათან მცირდება რიცხვი ახლად დაბადებულთა. 1872 წლიდგან 1880 წლამდე ყოველ წლივ გერმანიაში ორთა შუა რიცხვით იბადებოდა 874,056 მამრი, საფრანგეთში-კი—484,489 მამრი, 1881—1889 წლებში-კი გერმანიაში ორთა შუა რიცხვით იბადებოდა 886,677 მამრი, საფრანგეთში-კი 468,784. ამ ცნობებიდგანა სჩანსო, ამბობს გაზეთი, რომ ამ საუკუნის დამლევს, გერმანიას ერთიორად მეტი ეყოლება სათადარიგო ჯარი, ვიდრე საფრანგეთსაო.

—

**იტალია.** 12 ნოემბერს იტალიის დეპუტატთა პალატის კრებამ სულ ნახევარ საათს გასტანა, მაგრამ უფრო ცხარე-კი იყო, ვიდრე წინა დღეს.

კავალოტტი. უმორჩილესადა ვთხოვ ბატონ პრეზიდენტს, აგვიხსნას თავისი უცნაური ქცევა კრებაზედ. მან უცბად დასტოვა კრება, თითქოს არ უნდოდა, რომ პალატა შესდგომოდა გამომძიებელ კომისიის მოხსენების განხილვას. (საშინელი ჩოჩქოლია მინისტრთა მომხრეებ შორის).

იმბრიანი. ყველა ეს ჩირქსა სცხებს მინისტრთა პატიოსნებას (ჩოჩქოლი).

ფინანსთა მინისტრი გალიარგო. მე თქვენზედ პატიოსანი კაცი ვარ! (ტაშის ცემა).

იმბრიანი. პირად თქვენ პატიოსანი კაცი ხართ. ეს ყველამ იცის; ხოლო მე ვამბობ მთელს სამინისტროზე.

ცანარდელი. გუშინ ისე უცბად იმიტომ დავშალე კრება, რომ ყველას დიდი აღელვება შევატყე და მეშინოდა კომისიის მოხსენების განხილვას უსიამოვნო ამბავი რამ არ გამოეწვია. (ტაშის ცემა).

ჯიოლიტი. მოვახსენებ კრებას, რომ ჩვენ ყველასა გვსურს დეპუტატთა ადგილებზედ გადავიდეთ, რათა ამით დავიბრუნოთ სრული უფლება ლაპარაკისა. (ბევრნი დასცინიან ჯიოლიტის ამ სიტყვებზედ). მოგახსენებთ აგრედვე, რომ მთელმა კაბინეტმა სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა მიართვა მეფეს და ჩვენ მხოლოდ დროებით გვაქვს ჩვენი პორთფელები.

იმბრიანი. რის თხოვნა და რის გადადგომა სამსახურიდგან? თქვენ ყველანი ტალახში ამოისვარეთ.

ჯიოლიტი. რამდენსაც უნდა ეცადნეთ, ჩემის წაღის წვერსაც-კი ვერ მოსვრით ტალახით.

მინისტრ-პრეზიდენტს კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ჩოჩქოლი ასტყდა ლაპარაკს არავის აცლიდნენ. რადიკალები იძახდნენ: „შოვე! „შოვე! არ გვინდა შოვეს სამინისტრო. გალერიაზე ხალხი ყვირის. ერთის ლოჟიდგან იძახიან: ladri! ladri (ქურდები). ცანარგელი, რაც ძალი და ღონე აქვს, ზარსა რეკს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საქმე ისე გამწვავდა, რომ კრება დაიშალა.

—

**ოსმალეთი.** ხონთქარმა გადასწყვიტა ექიმობის ნება მიეცეთ ქალებს. ამ საქმისთვის ყველაზედ მეტსა სცდილობდა სტამბოლში ამერიკის ელჩი. სირიაში იბეჭდება გაზეთი, რომელიც თავიდგან ბოლომდე დედათა საქმეს შეეხება. გაზეთს ეწოდება „El Tatat“ (ახალგაზდა ქალი). გაზეთის რედაქტორადა და თანამშრომლებად სულ ქალები არიან თურმე.

## ბიბლიოგრაფია

—

„ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, შედ. თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი აგან

ამისთანა წმინდა ქართულ ენით დაწერილი სამეცნიერო წიგნს, როგორითაც დაწერილია ზემორე ხსენებული წიგნაკი ანდრონიკაშვილისა, ჩვენ პირველად ვხედავთ. რთული ისტორია ფილოქსერისა, ჩვენს სამეცნიერო ტერმინებით ღარიბს ენაზე, ანდრონიკაშვილს გამოუთქვამს საყოველთაო გასაგებად, მორჭმით, მოკლედ. ფილოქსერა ყოფილა სხვადასხვა გვარი. ზოგი მათგანი თურმე სცხოვრობს მუხაზედ, ზოგი წაბლზედ და კაკალზედ. ესენი ვაზს არას აკლებენ. ვაზის მტერი ყოფილა განსაკუთრებით ვაზის ფილოქსერა. იგი ოთხგვარი ყოფილა: ფოთლისა, ფესვისა, ფრთიანი და სქეს გაურჩეველი.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს სათითაოდ ყოველგვარ ფილოქსერის შესახებ, ასწერს თვით ფილოქსერას და ასახელებს იმ ვნებას, რომელსაც ეს უჩინარი მწერი მიაყენებს ხოლმე ვაზსა.

ვისურვებთ, რომ ეს წიგნი მრავლობით გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელსაც უკვე კარს მოსდგომია ეს მრისხანე მტერი და ჩვენი ვენახების განადგურებას ჰლამის.

დასასრულ ვიტყვი შემდეგსაც. ჩვენი ნასწავლი აგრონომები (კითხვაზე: რატომ სახალხო საკითხავად პატარ-პატარა წიგნებს არ აღგენთო) მოგვიგებენ ხოლმე: „ჩვენც ბარემ გვსურს, მაგრამ სამეცნიერო ენის შეუმუშავლობა გვაფერხებ გვაყოვნებსო“. გული-გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევა. ამასვე გვიმტკიცებს ი. ანდრონიკაშვილის მიერ შედგენილი ჩინებული წიგნაკი.

ესომ

## გასართობი

—

სამსახურიდგან გამოსული ღარიბი აფიცერი მინისტრთან მივიდა დახმარების სათხოვნელად და არწმუნებდა ადიუტანტს, მხოლოდ ორს სატყვას ვეტყვი მინისტრსაო. ადიუტანტმა მინისტრს მოახსენა და შემდეგ უთხრა აფიცერს, შეგიძლიანთ ნახოთ მინისტრი, ხოლო ორ სიტყვაზედ მეტი არა სთქვაო.

— სიცივე, სიმშილი! — მოახსენა აფიცერმა მინისტრს, როცა კაბინეთში შევიდა.

— შეშა, პურიო! — უპასუხა მინისტრმა და ბრძანა პენსია დაუნიშნეთო.

—

რამდენიმე მოცლილიკაცი გუნდაობდა ზამთარში. ამათ ცალთვალა უყურებდა. ერთბაშად გააქანეს გუნდა და ცალთვალას მოარტყეს სალს თვალში და ისიც გამოსთხარეს.

ცალთვალამ ფეხიც არ გადინაცვლა, მძიმედ მოიხადა ქუდი, მოთამაშეებს თავი დაუკრა და უთხრა:

— ღამე მშვიდობისაო!

—

„ჩვენ სწორედ მეეტლეს ვემსგავსებითო, — სთქვა ერთმა ექიმმა, — ქუჩა მშვენიერადა გვაქვს შესწავლილი, ხოლო შინ რა კეთდება, იმისი-კი არა ვიცით-რაო«.

## გამოსადეგი ცნობა

—

სავარცხლის წმენდა. ზოგს აწვალებიან ხოლმე სავარცხლის წმენდაზედ. აი სულ უბრალო წამალი, რომელიც სავარცხელს ადვილად და კარგადა სწმენდს; გახსენით წყალში ცხარე კალი

*) Ѣдкій кали.

შეეხება წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას ხალხში, უნდა ვსთქვა, რომ ეს ყველაზედ უფრო ნაყოფიერია ინტელიგენციის საქმეთა შორის. წიგნების საშვალებით სოფელს შეუძლიან გაიცნოს უკეთესი ცხოვრება, უკეთესი ადამიანები, გმირნი, რომელნიც გაცილებით მაღლა სდგანან იმათზედ, ვინც იმას უნახავს, ვისაც ის იცნობს. აქ ერთი წიგნაკი უფრო ბევრს ეტყვის, ერთი გაციებული საფლავი უფრო მეტს შუქსა სცემს, ვიდრე მთელი კრებული ნაცნობთა და მეგობართა. წიგნების კითხვა ახალს იდეალებს შეიტანს ხალხში, ძველი, ერის ძალღონის ცუდად შემაქცევარი კერპები შე[illegible]სრება, მომაკვდინებელ კმაყოფი[illegible]ბის ნაცვლად გაიღვიძებს გრძნო[illegible] [illegible]კმარობისა, სურვილი წინსვლი[illegible]ნებს ეს პირველი ნაბიჯი მაინც ხომ [illegible]ობა [illegible] წარმატებისა. როცა გო[illegible]აზრობელი, ზნეობის დამამხობელი ვითარება ტრიალებს, როცა ათასი სამარცხვინო მიდრეკილება ფეხს იდგამს და სწამლავს ერის ცხოვრებას, მწიგნობრობა და საუკეთესო მისი წარმომადგენელნი ამ შემთხვევაში ჟანგს ძნელად იკიდებენ და კიდევ შესძლებენ დიდს მანძილზე უნათონ ცოდვის გუბეში მდგომს მოძმეს. ლიტერატურა ისეთი სალაროა, რომელშიაც კაცი ყოველთვის იპოვის გზის მაჩვენებელს ვარსკვლავს და ვინც მწიგნობრობას ხალხისაკენ ასე თუ ისე გზას უკვლევს, ის ცუდად არ მომცდარა; არ სცდებიან ცუდად მადლიანიძე და მისნი მზგავსნი; ამათის მეცადინეობით ცხოვრებაში ცალ-ფეხი ბილიკი მაინც გაიკვლევა, რომელზედაც მათ შემდეგ სხვა მადლიანიძე გაივლის, უფრო მომზადებული, უფრო ძლიერის იარაღით შეჭურვილი. გულის გატეხა არ ვარგა, საცაა ეს ბინდ-ბუნდი გადიყრის... მაგრამ რა მადლიანიძე გინდათ? სად არის დედამიწაზე ისეთი უბედური, რომ ერთი წვეთი მადლის ჩადენა მაინც არ შეეძლოს? წვეთებისაგან ხომ მადლის ზღვა დადგებოდა? მაგრამ რას იზამ, როცა ზოგი ადამიანი ისე არის აგებული, რომ თავის სიცოცხლეში ეშმაკს უნდა უკმიოს გუნდრუკი. ერთხელაც არ მოაგონდება ჩვენის პოეტის ნათქვამი:

> არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფელს-კი არა რა არგოს.

განა ერთი და ორი ნასწავლი კაცი „სკუჩნაობს“ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში? განა ცოტა რასმე გააკეთებდა მათი ხელი და თავი? მოდით და გამამტყუნეთ ახლა, თუ ჩემის შენიშვნის ბოლოში ისევ სოფლის აზრი გავიმეორე მეც მცირეოდენის ცვლილებით: კაცი მადლიანი უნდა აღიზარდოს, თორემ მარტო სწავლა-კი არ გააკეთილებს; ცოდნა ორპირი მახვილია; ცოდნას მადლიანი მხმარებელი უნდა.

მასწავლებელი რვეულების გასწორებას მორჩა, მე ჩემს — შენიშვნას და ორთავემ განსვენებას მივეცით თავი. დილით, სანამ მე გავიღვიძებდი, მასწავლებელი ფეხზე იდგა და ჩუმად ესაუბრებოდა კეთილაძეს, რომელიც დღესასწაულის გამო სწვეოდა ჩემს მასპინძელს.

— ყველა, ყველა, მაგრამ ამ სიღარიბემ გამიჭირა საქმე. ჩემ თავს ვინ სტირის, მე ყველაფერს ავიტან, მაგრამ მშობლებმა გამიწყვიტეს ილაჯი, შესჩიოდა კეთილაძეს ჩემი მასპინძელი.

— რა ვუყოთ? შენი შრომის ფასი დიდი არ არის, მაგრამ ჯამაგირად ის რწმენა მიითვალე, რომ სასარგებლო საქმეს ემსახურები, თუმცა მცირედის სასყიდლით-კი. მე ღარიბად არ მეგულება ის კაცი, რომელსაც სინიდისი წმინდა აქვს, რომელსაც შეძლებისა დაგვარად უსრულებია ადამიანის დანიშნულება, თვისი ღვთაებრივი ხატება არ შეულახავს უზნეობით და ქვეყანაში არ გამოწყვეტილა. მოიგონე რუსთველის თქმული: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო“. როცა შენი სტუმარი გაიღვიძებს, ორივეს წაგიყვანთ ერთ შეძლებულს ოჯახში, იქ რამდენიმე ინტელიგენტს გაჩვენებ; შეუფარდე შენი ცხოვრება იმათს ყოფას და მაშინ შეიტყობ, ვინ უფრო ღარიბია, რა უფრო საშინელია: სულიერი სიღარიბე, თუ ნივთიერი?

ასე გაამხნევა მასწავლებელი კეთილაძემ და ჩემ გასაღვიძებლად წამოვიდა, მაგრამ მე უკვე ფეხზე ვიდექი და რამდენისამე წამის შემდეგ სამივენი მივეშურებოდით კეთილაძის მიერ ნათქვამ ოჯახში. რასაც იქ შევნიშნავ, კვლავ განვუზიარებ მკითხველს; ეხლა-კი ეს ვიკმაროთ.

შუბნელი

და ამ წამალში გარეცხეთ სავარცხელი ჯაგრის საწმენდით. კალი და სავარცხლის თეზო, ერთად შეერთებული, საპონია და ეს საპონი კარგად გაასუფთავებს სავარცხელს.

ამ წამალს კიდევ სხვა ღირსებაცა აქვს: ძვლის და რქის სავარცხელი თან და თან ხმება და ამის გამო ხშირად იმტვრევა და იბზარება ხოლმე. ზემოდ აღნიშნული წამალი-კი ძვალსა და რქას არბილებს და ამის გამო სავარცხელი უფრო დიდხანსა სძლებს.

# დეპეშა

20 ნოემბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია: ებრაელთა იმ ადგილებში გადასახლებისათვის, სადაც ისინი უნდა დამკვიდრდნენ, უკანასკნელ ვადად დაინიშნოს 1 ივნისი 1894 წლისა. მანამდე ძალით გადასახლება არ შეიძლება. გუბერნატორებს ნება აქვთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ეს ვადა განგრძობილ იქმნას, ხოლო არა უგვიანეს 1895 წლის 1 ივლისსა, იმ ებრაელთათვის, ვინც სასამართლოს განჩინებით დასჯილი არ ყოფილა და აგრეთვე იმ ოჯახთათვის, რომელთაც არ შეუძლიანთ დანიშნულ ვადამდე თავისი საქმეები გაარიგონ. განსაკუთრებულ გარემოების გამო გუბერნატორებს შეუძლიანთ იშუამდგომლონ, რომ ებრაელნი უმეტეს ხანსაც დარჩნენ ეხლანდელ ბინაზედ მთავრობის განკარგულებამდე. არ გაიგზავნებიან ძალით მარტოხელა ებრაელნი 70 წლისა, ანუ უფრო უხუცესნი, ხოლო იმათი შენახვა ადგილობრივს საზოგადოებას არ დაეკისრება. ებრაელთა გადასახლება ერთბაშად-კი არ უნდა მოხდეს, არამედ ჯგუფ-ჯგუფად არა უმეტეს გადასასახლებელ ებრაელთა 25%-სა. გუბერნატორებს შეუძლიანთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ პირველ მუხლში მოხსენებული შეღავათი მეორე მუხლში მოხსენებულ ებრაელთაც მიეცეთ, თუ სასამართლოს მიერ დასჯილნი არა ყოფილან და ამასთანავე ადგილობრივს ვაჭრობასა და მრეწველობას ხელს უწყობენ.

**მოსკოვი:** ყალბის კუპონების გაკეთებისათვის სასამართლომ მიუსაჯა: ლინკევიჩს—კატორგა ოთხის წლითა, ბლიუმენტალსა, ლუტოხინს, ფედოროვსა და პანკრატოვს—გადასახლება ციმბირის შორეულ ადგილებში, პეტუხოვს, ვედენეევსა და ლუტოხინს—გადასახლება ციმბირის მახლობელ ადგილებში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გრეიმ გამოაცხადა, რომ ევროპის სახელმწიფოთაგან არავითარი ცნობა არ მოსვლია მართებლობას ანარქისტების კრების შესახებ.

**ბერლინი.** Kölnische Zeitung-ს ატყობინებენ სოფიიდგან, რომ იქ დაუპატიმრებიათ აფიცერი ივანოვი, რომელსაც პრინც ფერდინანდის მოკვლა განუზრახავს. ივანოვის განზრახვა შემთხვევით შეიტყეს გრაფ გარტენაუს გვამის მოსვენებამდე ორის დღის წინად. ივანოვი გაიქცა, მაგრამ დაეწივნენ; ყველაფერში გამოტყდა. დააპატიმრეს აგრეთვე რამდენიმე სტუდენტი, რომლებზედაც ეჭვი აიღეს, ვითომც ანარქისტების დასს ეკუთვნიან.

22 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ ბუხარის ემირის შვილმა მიართვა ხელმწიფე იმპერატორსა და მემკვიდრე ცესარევიჩს ემირისაგან გამოგზავნილი ორდენი „გვირგვინი“.

**ლონდონი.** თუმცა მთავრობამ აუკრძალა ანარქისტებს შეკრება, მაგრამ ისინი მაინც ეცადნენ შეკრებილიყვნენ ტრაფალგარის მოედანზედ; ცნობის-მოყვარენი მრავლად მივიდნენ; ბევრნი იყვნენ აგრეთვე უცხოელნი წითელის ყელსახვევებით; ძლიერ იყიდებოდა ანარქისტების გაზეთი; გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „ყუმბარები“. ავტორი წერილისა ქებით იხსენიებდა ბარსელონის აფეთქებას. ბოლოს პოლიციის რაზმმა დაშალა კრება; ამ რაზმს მიეშველნენ 50 ცხენოსანი პოლიციელიც და მიჰფანტ-მოჰფანტეს შეკრებილი ხალხი.

**რომი.** სამინისტრო შესდგება ცანარდელის თავსმჯდომარეობით.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 152¾ | 153½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245⅝ |
| —მეორისა | | — „ | 222½ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 100 | — „ | — „ |
| 5% | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 | — „ | — „ |
| 5% | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97½ | — „ | — „ |

„ივერიის“ ფოსტა

—

**სოფ. სვ—ხევს. მღ. ალ. გ—ლს.** რუსთაველის ფონდი გროვდება რუსთაველის ძეგლის ასაგებად. რაც ამ ფონდის ფული შემოდის რედაქციაში, ეგზავნება „ქართველთა—შორის წერა კითხვის საზოგადოებასა“. იმასვე გადაეცა ფული ყველა სხვა ფონდებისა. „საზოგადოებას“ ყველა ეს ფული შენახული აქვს ერთ-ერთს საკრედიტო დაწესებულებაში. დ. ბაქრაძის ფონდი, განზრახვა აქვთ, მოახმარონ მის სახელობაზე საისტორიო და საარქეოლოგიო მუზეის აგებას; ჟორდანიას ქრონიკები იბეჭდება და, როცა გათავდება ბეჭდვა, თითო ეგზემპლიარი გაეგზავნება ყველას, ვინც 3 მან. გამოგზავნა და დაიკვეთა ეს წიგნი.

# განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის უფასო სამკურნალოში, რომელსაც განაგებს ქუთაისის სამკურნალო საზოგადოება, მიიღებენ ავადმყოფთა 11 საათიდგან 2 საათამდე დღისით შემდეგნი მკურნალნი: ა. ა. ბელანჟე, ი. მ. ბენედიქტოვი, მ. ა. ვორონოვი მ. გ. ძნელაძე, ლ. პ. იზმაილოვი, ს. ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ვ. ლუმეცკი, დ. ა. ნაზაროვი, გ. გ. სოკოლოვსკი, მ. ა. ფენოტერი, ს. ი. ხეჩინოვი და ვ. ვ. შენგელიძე.

სამკურნალო იმყოფება ბალახვნის ქუჩაზე, სტეფანოვის სახლში.

(3—2)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

А. ДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში

სყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერი ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . . | 2 | 50 |
| ოთხი ტომი ერთად . . | 9 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | 1 | 25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . | „ | 30 |
| იგივე ყდით . . . . . | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . | „ | 40 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე კარგს ქაღლდზედ, მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი II . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი III . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | „ |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . | 1 | 60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . | 3 | „ |
| ჩანგი . . . . . . | 1 | „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . | „ | 20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი 1 ფასი . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II ფასი . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . | „ | 25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „ | 75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . | 1 | 50 |

(5—0—4)

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

## „ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“

## БРОКГАУЗА и ЕФРОНА.

Для облегченія подписки на „СЛОВАРЬ“ въ виду поступающихъ многочисленныхъ заявленій объ обременительности единовременной уплаты за вышедшіе полутомы,

**КОНТОРОЮ НЫНѢ УСТАНОВЛЕНЫ НИЖЕСЛѢДУЮЩІЯ УСЛОВІЯ РАЗСРОЧКИ:**

1) Вышедшіе до сихъ поръ полутомы (числомъ 20) высылаются подписчикамъ ЕДИНОВРЕМЕННО, при чемъ уплачивается ЗАДАТОКЪ въ размѣрѣ отъ 10 руб.,

2) Остальная сумма (50 руб. и за пересылку 8 руб,. всего 58 руб.) погашается взносами въ размѣрѣ отъ 1½ РУБ. ВЪ МѢСЯЦЪ;

3) Слѣдующіе имѣющіе выходить полутомы высылаются на общихъ основаніяхъ—съ наложеннымъ платежемъ въ 3 руб. 40 коп. на каждый полутомъ по мѣрѣ выхода.

За подробными справками и съ подпиской на изложенныхъ основаніяхъ обращаться КЪ ПРЕДСТАВИТЕЛЮ „СЛОВАРЯ“ ДЛЯ КАВКАЗСКАГО КРАЯ

**Б. Г. КРЕСНЯНСКОМУ**

Въ Тифлисѣ, Михайловская ул., д. № 153, а также въ центральную книжную торговлю и въ книжный магаз. Хиддекеля. Иногородные благоволятъ обращаться исключительно къ Б. Г. КРАСНЯНСКОМУ.

## „ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“

(начатый проф. И. Е. АНДРЕЕВСКИМЪ)

подъ редакціей К. К. АРСЕНЬЕВА и заслуженнаго проф. Ѳ. Ѳ. ПЕТРУШЕВСКАГО.

При участіи редакторовъ отдѣловъ:

Проф. А. Н. Бекетовъ (біологич. науки).
С. А. Венгеровъ (исторія литературы).
Проф. А. И. Воейковъ (географія).
Проф. Н. И. Карѣевъ (исторія).
Проф. Д. И. Менделѣевъ (химикотехнич. и фабрично-завод.)
Проф. В. Т. Собичевскій (сельскохозяйственный и лѣсоводство).
Владиміръ Соловьевъ (филос.).
Проф. Н. Ѳ. Соловьевъ (музыка).

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“ выходитъ каждые 2 мѣсяца полутомами, въ 30 листовъ убористой печати. Въ настоящее время вышло двадцать полутомовъ.

Цѣна за каждый полутомъ безъ пересылки въ переплетѣ 3 руб., безъ переплета 2 руб. 70 коп. За пересылку 40 коп. на каждый полутомъ. Переплеты изъ шагреневой кожи съ золотымъ тисненіемъ на переплетѣ. Книги высылаются по почтѣ съ наложеннымъ платежемъ.

Издатели { А. Ф. БРОКГАУЗЪ (Лейпцигъ). И. А. ЕФРОНЪ (С.-Петербургъ).

(5—1047—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Ноября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.